ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 36

ქალაქი ქუთაისი 26 ნოემბერი 2025 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-2 სხდომის გადაწყვეტილების ცნობად მიღების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის „ბ.დ" ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 61-ე მუხლის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის გათვალისწინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მე-2 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2025 წლის 19 ნოემბრის ბიუროს მე-2 სხდომის შემდეგი გადაწყვეტილება:

1. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

ა) საკრებულოს **იურიდიულ საკითხთა** კომისიაში - საკრებულოს 9 წევრი;

ბ) საკრებულოს **საფინანსო-საბიუჯეტო** კომისიაში - საკრებულოს 11 წევრი;

გ) საკრებულოს **ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის** კომისიაში - საკრებულოს 11 წევრი;

დ) საკრებულოს **კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის** კომისიაში - საკრებულოს 10 წევრი;

ე) საკრებულოს **ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა** კომისიაში - საკრებულოს 9 წევრი.

2. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან

საქართველო ქ. ქუთაისის საკრებულო
მას. № 36
„26" ---------11---------2025 წ

საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ქართული ოცნების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა 19 წევრისათვის - 38):

ა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 7 წევრის ოდენობით;

ბ) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 8 წევრის ოდენობით;

გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 9 წევრის ოდენობით;

დ) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 7 წევრის ოდენობით;

ე) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 7 წევრის ოდენობით.

3. დამტკიცდეს პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ხალხის ძალის“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები (კვოტების რაოდენობა 3 წევრისათვის - 6):

ა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

ბ) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

დ) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;

ე) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით.

4. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან საკრებულოს არცერთ ფრაქციაში (კვოტების რაოდენობა 3 წევრისათვის - 6) :

ა) საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

ბ) საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;

გ) საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

დ) საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 1 წევრის ოდენობით;

ე) საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში - 1 წევრის ოდენობით.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის №13 განკარგულება „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ჭყონია